განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10 იანვარი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 5 მარტი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (26.11.2014, N226)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია მორგოშია, შპს მარგის დირექტორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გია თოდუა, ილიას უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან, როდესაც აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია გაერთიანების გზით. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 26 ნოემბრის N226 გადაწყვეტილება). ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 10 იანვარს გორში ჩერქეზიშვილის ქუჩა №1-ში. ვიზიტამდე 8 იანვარს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (მაია მორგოშია, გიორგი თოდუა) 18:30სთ-ზე, მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

10 იანვარს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:
  - **პირველი სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია და 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - **მეორე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.2, და 2.6 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და 2.3, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, 2.1, 2.4 და 2.5 კი შესაბამისი მოთხოვნებთან;

- **მესამე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.2 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში და 3.1 კომპონენტი შესაბამისობაში მოთხოვნებთან;
- **მეოთხე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2, და 4.4 შეფასდა, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან ხოლო 4.3 მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტები შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან ხოლო სტანდარტის 5.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - აუცილებელია პროგრამის სწავლის შდეგები იყოს არაუმეტეს ათისა და იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ თითეული მათგანი იყოს გაზომვადი;
  - ვინაიდან, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, აუცილებელია, თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყოს სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი;
  - დაწესებულება მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიკაციას, რაც მას საშუალებას მისცემს ზუსტად დაინახოს თუ რა ეტაპზეა ამჟამად და რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ უკეთ უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;
  - მიზანშეწონილია, გაფართოვდეს არჩევითი სასწავლო კურსები აღრიცხვა-ანგარიშგება-აუდიტის მიმართულების სასწავლო კურსების ხარჯზე;
  - პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზრდადი რუბრიკებით იქნება ასახული თითოეული სასწავლო კურსის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;
  - პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ კრედიტების განაწილების ტრანსპარენტული მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვას სწავლის შედეგების მიღწევის სირთულესთან დაკავშირებით;
  - აუცილებელია განხორციელდეს „სტრატეგიული მენეჯმენტის“ და „მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის“ სასწავლო კურსების სილაბუსების გადამუშავება და მათი მოყვანა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობაში;

- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტებთან აქტიურად გამართონ შეხვედრები და მოახდინონ მათი ინფორმირება იმ უფლებების შესახებ, რომლებიც მათ გააჩნიათ და მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია ამა თუ იმ პროცედურის განხორციელების შესახებ (მაგალითად, გასაჩივრების პროცედურის შესახებ);
- დაწესებულებამ უნდა დახვეწოს ონლაინ პლატფორმა, რათა სტუდენტებმა ონლაინ შეძლონ სასურველი კურსების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც გაამარტივებს რეგისტრაციის პროცესი
- პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ მაგისტრები კვალიფიციური და დარგის სპეციალისტი მეცნიერ ხელმძღვანელებით;
- კვლევითი თემების შერჩევისას და კვლევის განხორციელებისას განუხრელად უნდა იქნას დაცული, როგორც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის, ასვე მაგისტრატურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, კვლევითი თემები უნდა შესრულდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია დარგთაშორისი კვლევის განხორციელებაც შესაბამისი ხელმძღვანელობის პირობებში, ასევე, სამაგისტრო დისერტაციის გაფორმებისას შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს მეთოდი და მეთოდოლოგია, რასაც ეყრდნობა კვლევა და აუცილებლად უნდა იყოს წყაროების მიმოხილვა;
- სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით ბიბლიოთეკა. ელექტრონულ რესურსებთან ერთად ძირითადი სახელმძღვანელოები სტუდნტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბეჭდვითი სახითაც;
- ხარისხის განვითარების სამსახურმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელძღვანელებს და ფაკულტეტის საბჭოს. განსაკუთრებული ყუარდღება უნდა მიექცეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მაჩვანებლებს;
- ხარისხსი სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან: სილაბუსი, მაგისტრატურის დებულება. ასევე, გამოყენებული წყაროების ვალიდურობა.;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე

შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას;

- ხარისხის სამსახურებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან: სილაბუსი, მაგისტრატურის დებულება. ასევე, გამოყენებული წყაროების ვალიდურობას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - საგანამანათლებლო პროგრამის ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა;
  - პროგრამის სწავლის შედეგები სასურველია ჩამოყალიბდეს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებიდანა გამომდინარე;
  - სასურველია ინტერნეტ სიჩქარის გაძლიერება და პროექტორების დამატება;
  - ვინაიდან მაგისტრების უმრავლესობა დასაქმებულია, მათ არა აქვთ საკმარისი დრო სამაგისტრო დისერტაციის დაწერისა და სრულფასოვანი კვლევის ჩატარებისათვის. ამიტომ, შესაძლებელია სამაგისტრო დისერტაცია გახდეს არჩევითი და მაგისტრებს მიეცეთ საშუალება, 2007 წლის 5 იანვრის მე-3-ე ბრძანების შესაბამისად, დაწერონ სამაგისტრო პროექტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულება იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა ვარშავის უნივერსტეტთან არსებულ გაცვლით პროგამაში, უფინანსებს პოლონურ ენის სწავლებას. სწავლება ხდება კურიკულუმს გარეთ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს (N226 გადაწყვეტილება; 26/11/2014). პროგრამის პერსონალმა, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, განიხილა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

1. სასურველი იქნებოდა გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;

2. სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით, მითითებულიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა იყო ერთზე მეტი.
3. სასურველი იქნებოდა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უვცოენოვანი ლიტერატურა, რომელიც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნული პირველი რეკომენდაციის შესაბამისად, გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული იქნა ფინანსების და მენეჯმენტის არჩევითი ბლოკები, თითოეული 18 კრედიტის მოცულობით, სულ 6 სასწავლო კურსი (36 კრედიტის მოცულობის კურსები). პროგრამით განისაზღვრა თითოეული ბლოკიდან 6 კრედიტის (მინიმუმ 1-1 სასწავლო კურსის) არჩევა, სულ, სავალდებულოა თითოეულმა სტუდენტმა აირჩიოს 12 კრედიტის მოცულობით სასწავლო კურსები.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, პერსონალმა გარკვეული მსჯელობის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით, არ მიეღო პერსონალის მიმართ იმპერატიული მითითება თემების გასწვრივ სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მითითების შესახებ.

ასევე, რეკომენდაციის გათვალისწინებით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის განახლება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი, ქართული და ინგლისურენოვანი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ეროვნული კვალიფიკაციათა ძველი ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით. დაწესებულება ამით არ ეწინააღმდეგება მოქმედ ნორმატიულ აქტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებას, მაგრამ უახლოეს ხანში, მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე მოუწევთ აღნიშნული პროგრამის მოყვანა აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებთან. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამა იქნებოდა შესაბამისობაში №69/ნ ბრაძნებასთან. ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია «ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მაღალი მოქალაქეობრივი, ინდივიდუალური თვისებებისა და დემოკრატიული აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირება, რომელიც დასაქმდება ბიზნესის სფეროში მმართველობით პოზიციებზე”. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან: „უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი

ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას“. პროგრამის მიზნები, ასევე შესაბამისობაშია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის მისიასთან და სასავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება, მოხდება რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.gu.edu.ge
- 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საგანამანათლებლო პროგრამის ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფართოდაა წარმოდგენილი და გაწერილია ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამიტომ, მომავლისათვის აუცილებელია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს არაუმეტეს ათისა და იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ თითეული მათგანი იყოს გაზომვადი. სწავლის შედგები უნდა აღწერდეს კონკრეტულად რა იცის (თეორიები, მოდელები, კონცეფციები) და რა შეუძლია კურსდამთავრებულს (მაგ. მათემატიკური და რაოდენობრივი უნარები: სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ინტერპრეტაცია და ექსტრაპოლაცია; პროექტის მენეჯმენტი და ა.შ.)

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს

და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პროგრამის სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, (აქ ვგულისხმობთ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება).

სწავლის შედეგები, ძირითადად, პასუხობენ პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევიან განათლების შემდეგ საფეხურზე -დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

დაწესებულებამ, სწავლის შედეგების შემუშავებამდე ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხა რეგიონში არსებული დამსაქმებლები და ეცადა მეტნაკლებად გაეთვალისიწინებინა მათი მოსაზრებები ამ მიმართულებით. კერძოდ: გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ დამსაქმებლები გამოთქვამდნენ სურვილს მეტი ყურადღება დათმობოდა სწავლის პროცესში კომუნიკაციის უნარის განვითარებას და საგანმანათლებლო პროგრამაში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში და შესაბამისად, სწავლის შდეგებში, აისახა კიდეც ეს მოთხოვნები.

ინტერვიუს დროს (დაინტერესებული მხარეებთან) გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) არასაკმარისი ჩართულობა. მაგალითად თვითშეფასების ჯგუფში არ იქნა შეყვანილი სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. დაწესებულებამ ეს ახსნა იმ მიზეზით, რომ მათთან ტარდებოდა გამოკითხვები, რომელიც შემდეგ აისახა პროგრამის თვითშეფასებაში SWOT ანალიზის დროს. ექსპერტთა ჯგუფი არ დააკმაყოფილა აღნიშნულმა არგუმენტაციამ. ჩვენ ვთვლით, რომ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ აუცილებელია თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყოს სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თვითშეფასებაში, რომელიც უნდა იყოს სამაგიდო დოკუმენტი პროგრამის ხელმძღვანელისა და

განმახორციელებელებისათვის, არ არის დამაჯერებლად არგუმენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. მაგ. დაწესებულება პირველი სტანდარტის ნაწილში ძლიერ მხარედ მიიჩნევს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ხოლო გასაუმჯობესებელ მხარედ კი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან კავშირების გაძლიერებას და „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ალტერნატიული მეთოდების განსაზღვრას“, თუმცა ამ უკანასკნელში რა იგულისხმება, ვერ იქნა გასაგებად ჩამოყალიბებული. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დაწესებულება მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიკაციას, რაც მას საშუალებას მისცემს ზუსტად დაინახოს თუ რა ეტაპზეა ამჟამად და რა უნდა გააკეთოს იმისათვის, უკეთ უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს; სწავლის შედეგის მიღწევის პირდაპირი მეთოდით შეფასების ინდიკატორის სახით გამოყენებულია ე.წ. შეწონილი შეფასება, რომელის გამოთვლა და გამოყენება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით“ განსაზღვრული წესის შესაბამისად. გამოიყენება აგრეთვე, არაპირდაპირი შეფასების მეთოდი (სტუდენტების, პერსონალის, პრაქტიკის პროცესში ჩართული პირების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ინტერვიუ შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და სხვ.).

პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება თითოეული შეფასების ინდიკატორის მიხედვით განისაზღვრება შეფასებაში ჩართული სტუდენტებიდან იმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობით, რომელთა შეფასება შეესაბამება ან აღემატება მოთხოვნას. პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებული თითოეული ინდიკატორის მიხედვით მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია 70%-ით. შესაბამისად, თუ პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება აღემატება 70%-ს, სწავლის შედეგი ჩაითვლება მიღწეულად.

შეფასების შედეგების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე, სწავლის შედეგების

შეფასების შედეგების შედარებით სამიზნე ნიშნულებთან განისაზღვრება სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედგის მიღწევის ხარისხი. შეფასების ციკლის კომპონნეტია იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. შეფასების პროცესი ითვალისწინებს უკუკავშირს სასწავლო კურსებისა და პროგრამის უწყვეტი განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება); ○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: - აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგები იყოს არუმეტეს ათისა და იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ თითეული მათგანი იყოს გაზომვადი; - ვინაიდან, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, აუცილებელია თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყოს სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი; - დაწესებულება მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიკაციას, რაც მას საშუალებას მისცემს ზუსტად დაინახოს თუ რა ეტაპზეა ამჟამად და რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ უკეთ უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის სწავლის შედეგები სასურველია ჩამოყალიბდეს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობა, ინგლისური ენა B2) შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ფართოა და არ ითვალსწინებს რაიმე შეზღუდვებს პროგრამის სპეციფიკიდან, მისი შინაარსიდან ან სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. საერთო სამაგისტრო გამოცდების ბარიერის წარმატებით დაძლევის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა სპეციალობაში და დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. სამაგისტრო პროგრამა, დანართები, სილაბუსები და სპეციალობაში სამაგისტრო გამოცდის ნიმუში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.gu.edu.ge; ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები.

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგები, რომლის შესაბამისად არის აგებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმის მიხედვით 120 კრედიტი შემდეგნაირადაა განაწილებული: 108 კრედიტი დათმობილი აქვს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის 30

კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს, 12 კრედიტი პრაქტიკას, ხოლო 12 კრედიტი არის არჩევითი სასწავლო კურსები. შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. არჩევითი კომპონენტების ნაწილში 6 სასწავლო კურსი არის შეთავაზებული ფინანსების და მენეჯმენტის მოდულიდან ამასთან, არ არის შეთავაზებული სასწავლო კურსები აღრიცხვ-ანგარიშგება-აუდიტის ბლოკოდან, რაც გაკვირვებას იწვევს, ვინაიდან გორის სასწავლო უნივერსიტეტი ტრადიციულად ამზადებდა ამ მიმართულების სპეციალისტებს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე და EQUAL-ის სტანდარტებით მიზანშეწონილია, გაფართოვდეს არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილი აღრიცხვა-ანგარიშგება-აუდიტის მიმართულების სასწავლო კურსების ხარჯზე.** პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-12 დადგენილება); ○ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცა და შედეგების რუკა; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.gu.edu.ge; ○ ინტერვიუ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, გაფართოვდეს არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილი აღრიცხვა-ანგარიშგება-აუდიტის მიმართულების სასწავლო კურსების ხარჯზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ორიენტირებულია

სტუდენტის მიერ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამას არ გააჩნია სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზრდადი რუბრიკებით იქნებოდა ასახული თითეული სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან. დანართი 2 ასახავს სასწავლო კურსების კომპეტენციების რუკას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და ძირითადად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსები წარმოდგენილია 5 ECTS კრედიტის მოცულობით, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები კი 6 კერდიტის მოცულობით. შესაბამისად, ბუნდოვანია რას ეყრდნობა კრედიტების განაწილების სისტემა. რატომაა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 5 კრედიტის, ხოლო, არჩევითი სასწავლო კურსები 6 კრედიტის მოცულობით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ კრედიტების განაწილების ტრანსპარენტული მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვას სწავლის შედეგების მიღწევის სირთულესთან დაკავშირებით.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადში შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ბიზნესის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის თემატიკა და ლიტერატურა არ პასუხობს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს, მაგ. სტრატეგიული მენეჯმენტი და მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლი. აღნიშნულ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იდენტურია იმავე დასახელების საბაკალავრო სილაბუსების ლიტერატურასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია განხორციელდეს სტრატეგიული მენეჯმენტის და მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სასწავლო კურსების სილაბუსების გადამუშავება და მათი მოყვანა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობაში.

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილება); ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ სასწავლო პროცესის მართვის სისტემა; ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები: პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზრდადი რუბრუკებით იქნება ასახული თითეული სასწავლო კურსის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან; აუცილებელია განხორციელდეს „სტრატეგიული მენეჯმენტის“ და „მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის“ სასწავლო კურსების სილაბუსების გადამუშავება და მათი მოყვანა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობაში; პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ კრედიტების განაწილების ტრანსპარენტული მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვას სწავლის შედეგების მიღწევის სირთულესთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი საკვანძო კურსების უმრავლესობით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ამ კურსის ფარგლებში საკურსო ნაშრომის/პროექტის შესრულება და დაცვა, რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ამასთან ერთად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ტარდება საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და

განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე. ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, ასევე აქტივობები - დემონსტრირება, წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად დაშვებულია აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების მექანიზმი, რომელიც 100 ქულიანი სისტემით არის წარმოდგენილი და ის შედგება შუალედური და ფინალური შეფასებებისგან. შუალედური შეფასების დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის შეფასების ფორმები: სემინარები, პრეზენტაციები, პროექტები, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. შუალედური გამოცდა კი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და სამართლიანი ყველა სტუდენტისთვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ საგნების არჩევის დროს გაეცნონ

სილაბუსების შინაარს, წინასწარ მოიპოვონ ინფორმაცია კონკრეტული საგნის კონტენტისა თუ შეფასების კრიტერიუმების შესახებ და ამაზე დაყრდნობით აირჩიონ სასურველი საგნები.

გარდა ამისა, სილაბუსის განხილვა ხდება სასწავლო კურსის დაწყებისთანავე, პირველივე ლექციაზე. სტუდენტი, საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ლექტორებისგან მარტივად იღებს უკუკავშირსა და არგუმენტირებულ პასუხს ამა თუ იმ შეფასებასთან დაკავშირებით (მაგალითად, სტუდენტმა გაიხსენა ფაქტი, როდესაც მას გამოცდაში მიღებულ ქულასთან დაკავშირებით გააჩნდა პრეტენზია, რომელი საკითხიც ამოიწურა მას შემდეგ, რაც ლექტორისაგან არგუმენტირებული პასუხი მიიღო თავისი შეფასების შესახებ). მათ აქვთ უფლება გაასაჩივრონ კონკრეტული შეფასება თუკი მიიჩნევენ, რომ მათი ნაშრომი არასათანადოდაა შეფასებული, **თუმცა ამ პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ უმეტესმა მათგანმა არ იცოდა პროცედურულად ეს ყოველივე როგორ უნდა განხორციელებულიყო.** აღსანიშნია ის ფაქტი, რომ საგამოცდო პროცესს აკონტროლებს სპეციალური საგამოცდო კომისია, დამკვირვებლები, რომლებიც სპეციალურად გამოცდების დროს კონპლექტდება აკადემიური პერსონალისგან, რაც ხარისხზე დადებიტად აისახება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამტავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიური პერსონალთან
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სასწვლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტებთან აქტიურად გამართონ შეხვედრები და მოახდინონ მათი ინფორმირება იმ უფლებების შესახებ, რომლებიც მათ გააჩნიათ და მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია ამა თუ იმ პროცედურის განხორციელების შესახებ (მაგალიათად, გასაჩივრების პროცედურის შესახებ).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სწავლის, ასევე, სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სტუდენტების პოზიციებისა და ინიციატივების გათვალისწინება ხდება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან მიმართებაში ტარდება კვლევები. კითხვარების შევსება ანონიმურია და ნებაყოფლობითი. მიუხედავად ამისა, თვითშეფასების ჯგუფში მაგისტრანტი სტუდენტი/სტუდენტები არ იყო წარმოდგენილი.

წელიწადში რამდენიმეჯერ ფაკულტეტისა და პროგრამის წარმომადგენლები მართავენ შეხვედრებს სტუდენტებთან, რის შედეგადაც ხდება სტუდენტების ინფორმირება პროგრამაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ, ასევე მათი პოზიციებისა და რეკომენდაციების მოსმენა პროგრამასთან მიმართებით.

ყველა ლექტორი ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, იმ შემთხვევაში, თუკი გაჩნდება ლექტორთან კონსულტაციის აუცილებლობა. გარდა იმისა, რომ ლექტორები უშუალოდ უწევენ კონსულტაციას თავიანთ სტუდენტებს, ასევე, ეს შესაძლებელია დისტანციურად, რაც სტუდენტისთვის ამარტივებს პროცესს - სწრაფად და კვალიფიციურად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ირკვევა, რომ ყველა ლექტორს, კვირაში ერთხელ, ჩანიშნული აქვს კონსულტაციის დრო და ადგილი, სადაც ისინი ხვდებიან სტუდენტებს და მზად არიან მათგან მოისმინონ დადებითი ან უარყოფითი პოზიციები. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, შესაბამისად, თითოეულმა სტუდენტმა იცის ნებისმიერი საგნის ლექტორთან საკონსულტაციო დროისა და ადგილის შესახებ.

დადებით ფაქტად უნდა აღინიშნოს ის, რომ უნივერსიტეტს ძალიან ბევრ ევროპულ უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული თანამშრომბოლობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს როგორც ერასმუს, ასევე, ორმხრივ შეთანხმებაზე დაფუძნებულ მემორანდუმებს (მაგალითად, პოლონეთის, ესპანეთის, ბულგარეთის უნივერსიტეტები). მიუხედავად ამისა, სტუდენტების დიდი ნაწილი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე თავს იკავებს, რის მთავარ მიზეზადაც ენობრივ ბარიერს ასახელებენ. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უნიერსიტეტის მიერ ხდება სტუდენტების თანადაფინანსება და გარკვეული ხარჯების ანაზღაურება, როდესაც ისინი მონაწილეობას იღებენ მსგავსი ტიპის გაცვლით პროგრამებში.

უნივერსიტეტში იმართება დამსაქმებლებთან შეხვედრები და ერთობლივი

ფორუმები, რის შედეგადაც სტუდენტთა გარკვეულმა რაოდენობა თავისი პროფესიით დასაქმდა ან სტაჟირება გაიარა აღნიშნულ კომპანიებში.

აუცილებლად გამოსაყოფი ფაქტია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები სათანადოდ არ წარიმართა, რადგან ისინი თითქმის არანაირ კონკრეტულ ინფორმაციას არ აწვდიდნენ კომისიის წევრებს და მხოლოდ ზოგადი, სტანდარტული ფრაზებითა და პასუხებით შემოიფარგლებოდნენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები რექტორთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- მემორანდუმები ევროპის უნივერსიტეტებთან.

რეკომენდაციები:

დაწესებულებამ უნდა დახვეწოს ონლაინ პლატფორმა, რათა სტუდენტებმა ონლაინ შეძლონ სასურველი კურსების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც გაამარტივებს რეგისტრაციის პროცესი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კარგი იქნება, თუ სასწავლო უნივერსიტეტი მეტ ყურადღებას დაუთმობს ინგლისური ენის სწავლებას და სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებას, რაც ხელს შეუწყობდა მათს ჩართულობას გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○

მოცემული პროგრამის მაგისტრანტ სტუდენტებს ჰყავთ ხელმძღვანელები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კომუნიკაციის დონით და სტუდენტებს მაქსიმალურად უთავსებენ გრაფიკს. სტუდენტს აქვს აქტიური კომუნიკაცია ხელმძღვანელთან თემაზე მუშაობის პროცესში და მასთან კომუნიკაცია/კონსულტაცია არ წარმოადგენს პრობლემას, ეს ხდება, როგორც უშუალო შეხვედრების, ასევე დისტანციური კომუნიკაციის ფორმატში, რაც სტუდენტისთვის აუცილებელია თემაზე მუშაობის პროცესში.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი გარემოებებისა, სამაგისტრო ნაშრომების გაცნობისას, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამაგისტრო ნამუშევრების თემატიკა არ ემთხვევა იმ ხარისხს, რომელიც ამ პროგრამის კურსდამტავრებულებს უნდა მიენიჭოთ, უმეტეს შემთხვევაში ნამუშევრები ეკონომიკის სფეროს განეკუთვნებოდნენ. გარდა ამისა, პრობლემა იყო გამოყენებულ წყაროებთან მიმართებაშიც, რადგანაც არ იყო დაცული პრინციპი, რომ კვლევისას გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურა - წიგნები თუ სტატიები. იყო შემთხვევა, როდესაც სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში მითითებული იყო ისეთი არა აკადემიური წყარო როგორიცაა *Wikipedia.org* . წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების უმეტესობაში საერთოდ არ იყო ან მინიმალური რაოდენობით იყო წარმოდგენილი უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც კვლევა ევროპის კონკრეტული ქვეყნის შემთხვევის ანალიზზე იყო დაფუძნებული, რითაც რამდენიმე გარემოება იკვეთება: მაგისტრანტი სტუდენტები არ იცნობენ ან არ აქვთ ინფორმაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზების შესახებ ან უბრალოდ ვერ ფლობენ სათანადო დონეს ინგლისურ ენაში, რომ გაეცნონ მსგავსი ტიპის წყაროებს. კომისიის წევრების მიერ გაცნობილ არც ერთ სამაგისტრო ნამუშევარში არ იყო მეთოდოლოგიის, ლიტერატურის მიმოხილვა.

მაგისტრანტებსა და კურსდამთავრებულებულებთან ინტერვიუებისას გაჟღერდა რამდენიმე

აზრი, რაც მიგვანიშნებს, რომ კვლევის კუთხით სერიოზული პრობლემებია, მაგალითად: „სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად სულ რამდენიმე 3-4 წყაროს ერთმანეთთან შედარება საკმარისია.“ მეტიც, ერთ-ერთი მაგისტრის ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ 8 წყარო იყო მითითებული. ასევე, ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც ამ სამაგისტრო პროგრამის უახლოესი ორი წლის კურსდამთავრებულებმა ვერ გაიხსენეს როგორც თავიანთი ხელმძღვანელების სახელი, ასევე სამაგისტრო თემების სათაურები. **ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე იკვეთება გარემოება, რომ პროგრამაზე საჭიროა სერიოზული რეფორმების გატარება, როგორც სამაგისტრო ნამუშევრების შესრულების სტილის, ასევე მათი ხელმძღვანელებისა და თემატიკის შერჩევის პროცესშიც.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა (2014-2019) ○ სამაგისტრო ნაშრომები ○ ინტერვიუ მაგისტრენთან და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ მაგისტრები კვალიფიციური და დარგის სპეციალისტი მეცნიერ ხელმძღვანელებით კვლევითი თემების შერჩევისას და კვლევის განხორციელებისას განუხრელად უნდა იქნას დაცული, როგორც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის, ასვე მაგისტრატურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, კვლევითი თემები უნდა შესრულდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია დარგთაშორისი კვლევის განხორციელებაც, შესაბამისი ხელმძღვანელობის პირობებში. ასევე, სამაგისტრო დისერტაციის გაფორმებისას შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს მეთოდი და მეთოდოლოგია, რასაც ეყრდნობა კვლევა და აუცილებლად უნდა იყოს ასევე წყაროების მიმოხილვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ვინაიდან მაგისტრების უმრავლესობა დასაქმებულია, მათ არა აქვთ საკმარისი დრო სამაგისტრო დისერტაციის დაწერისა და სრულფასოვანი კვლევის ჩატარებისათვის. ამიტომ, შესაძლებელია სამაგისტრო დისერტაცია გახდეს არჩევითი და მაგისტრებს მიეცეთ საშუალება, 2007 წლის 5 იანვრის მე-3-ე ბრძანების შესაბამისად, დაწერონ სამაგისტრო პროექტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიური პერსონალის და სათანადო კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორების მიერ, რომელთა სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.

პროგრამის აკადემიური პერსონალი შეირჩევა კონკურსის წესით, ხოლო მოწვეული პერსონალი კი უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში შემუშავებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური თანამდებობის მქონე პირი მ.შ. 10 პროფესორი (9-აფილირებული) და 3 ასოცირებული პროფესორი (აფილირებული) და 3 მოწვეული სპეციალისტი. ადმინისტრაციული და დამხმარე 8-პერსონალი, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 13/3, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან თანაფარდობა 16/31.

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის პროგრამაზე აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის დენადობის დაბალი მაჩვენებლები.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილებით, აკადემიური ხარისხით, სამეცნიერო ნაშრომებით და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში ბოლო 5 წლის მანძილზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (თანაფარდობით 13/3) და მათი დატვირთვის სქემა

უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას და ფუნქციონირებას.

სტუდენტები სისტემატიურად იღებენ კონსულტაციებს და, საორგანიზაციო საკითხებში მათ ეხმარებათ პროგრამის ხელმძღვანელები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და პირადი საქმეები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ანხორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ხოლო შედეგებს კი იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისებისთვის. გამოყენებულია შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი; აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები.

სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების წარმოების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას, კვლევითი საქმიანობის უწყვეტ განვითარებას, სასწავლო პროცესში კვლევების ინტეგრაციას.

უნივერსიტეტში იგეგმება და ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციები, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ტრენინგები, გაცვლითი პროექტები, საინფორმაციო შეხვედრები. უნივერსიტეტი ხელს უწყობს და ანხორციელებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსებას. სთავაზობს მათ სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით სტაჟირებას საზღვარგარეთ, გაფორმებული აქვთ მემორანდუმი და ხელშეკრულებები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში - უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულმა 5 პროფესორმა

ტემპუსის, Erasmus და Erasmus+ და სხვ. პროექტების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- პერსონალის შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები. სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, აუდიტორიებში სარგებლობენ გადასაადგილებელი პროექტორებით. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან თავისუფალი წვდომა, დაცულია უსაფრთხოების ნორმები, შენობა აღჭურვილია კამერებით.

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა სარგებლობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით. შერჩევითი შემოწმებით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკის ფონდში ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. თუმცა ერთ შემთხვევაში არ იყო დამატებითი ლიტერატურა და ზოგ შემთხვევაში კი იყო წიგნების მხოლოდ ელექტრონული ვერსია. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერნეტ-რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საერთაშორისო ელ. ბაზები
- სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება.
- ელექტრონული სასწავლო ბაზა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით ბიბლიოთეკა. ელექტრონულ რესურსებთან ერთად ძირითადი სახელმძღვანელოები სტუდნტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბეჭდვითი სახითაც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა მოცემულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის მხარდაჭერის წყაროები. წლიური ხარჯები შეადგენს 1,393 ათას ლარს.

ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება (937,7 ათ. ლარი), სამივლინებო (5,0 ათ. ლარი) და სპეციალური ლიტერატურის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯი (13,0 ათ. ლარი), საოფისე ტექნიკისა და ავეჯის შეძენის ხარჯები (12,6 ათ. ლარი), კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები (3,0 ათ. ლარი), კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ხარჯები (3,0 ათ. ლარი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი „დაგეგმე — განახორციელე — შეამოწმე — განავითარე". დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. დაწესებულებაში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროგრამას ჰყავს ცოტა კურსდამთავრებული და საკმაოდ მაღალია სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი დაბალია (დამაკმაყოფილებელი 46 % და საკმარისი 35 %). როგორც უკვე აღინიშნა ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ეროვნული კვალიფიკაციათა ძველი ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით. მართალია დაწესებულება ამით არ ეწინააღმდეგება მოქმედ ნორმატიულ აქტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ

ბრძანებას, მაგრამ უახლოეს ხანში, მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე მოუწევთ აღნიშნული პროგრამის მოყვანა აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებთან. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამა უკვე იქნებოდა შესაბამისობაში №69/ნ ბრაძნებასთან.

ხარისხსი სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან: სილაბუსი, მაგისტრატურის დებულება. ასევე, გამოყენებული წყაროების ვალიდურობა.

ხარისხის განვითარების სამსახურმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და ფაკულტეტის საბჭოს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვები;
- საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის გამოკითხვები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

ხარისხის განვითარების სამსახურმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტულ რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და ფაკულტეტის საბჭოს. განსაკუთრებული ყუარდღება უნდა მიექცეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მაჩვანებლებს;

ხარისხსი სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან: სილაბუსი, მაგისტრატურის დებულება. ასევე, გამოყენებული წყაროების ვალიდურობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასება ხდება სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ხორციელდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს (N226 გადაწყვეტილება; 26/11/2014). პროგრამის პერსონალმა, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, განიხილა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები: 4. სასურველი იქნებოდა გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა; 5. სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით, მითითებულიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა

სავალდებულო ლიტერატურა იყო ერთზე მეტი.

6. სასურველი იქნებოდა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უვცოენოვანი ლიტერატურა, რომელიც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნული პირველი რეკომენდაციის შესაბამისად, გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული იქნა ფინანსების და მენეჯმენტის არჩევითი ბლოკები, თითოეული 18 კრედიტის მოცულობით, სულ 6 სასწავლო კურსი (36 კრედიტის მოცულობის კურსები). პროგრამით განისაზღვრა თითოეული ბლოკიდან 6 კრედიტის (მინიმუმ 1-1 სასწავლო კურსის) არჩევა, სულ, სავალდებულოა თითოეულმა სტუდენტმა აირჩიოს 12 კრედიტის მოცულობით სასწავლო კურსები.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, პერსონალმა გარკვეული მსჯელობის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით, არ მიეღო პერსონალის მიმართ იმპერატიული მითითება თემების გასწვრივ სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მითითების შესახებ.

ასევე, რეკომენდაციის გათვალისწინებით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის განახლება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი, ქართული და ინგლისურენოვანი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. დარგის განვითარების, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად განიცდის შესაბამის ცვლილებებს.

პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებელი პერსონალი ახდენს დაკვირვებას საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიხედვით. ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასება. ასევე, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების, ლექტორების, ფაკულტეტების მიხედვით. პროგრამის შეფასების შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და შეფასების შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისათვის გაცნობისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანის მიერ დადგენილ ვადებში პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო კურსების პასუხისმგებელ ლექტორებთან, უნივერსიტეტის კათედრებთან/ცენტრებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებსა და წინადადებებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ხარისხის სამსახურებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან: სილაბუსი, მაგისტრატურის დებულება. ასევე, გამოყენებული წყაროების ვალიდურობას. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით უნდა მოხდეს პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა; ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება); ○ შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; ○ პერსონალის შეფასების შედგად განხორციელებული ღონისძიებები; ○ ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და

მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ხარისხის სამსახურებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებას, თუ რამდენადაა ის შესაბამისობაში დარგთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან: სილაბუსი, მაგისტრატურის დებულება. ასევე, გამოყენებული წყაროების ვალიდურობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების		✓		

შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოჩა თუთბერიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაია მორგოშია 

გია თოდუა